

ରଜ୍ଜବାନ ଧ୍ୟାନଗରା  
ମୁଖ୍ୟମନ୍ତ୍ରୀ

ବିଷୟାବଳୀ ପରିଚୟ  
ନଂ ୧୯୫୩ ମସିନ୍ଦରିୟ  
୩୩

[1944]

# ჩვენი ბრძოლის მიზანი

რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს გუშინ არ დაუწყია. 1801 წლიდან, — როცა რუსეთმა უხეშად დაიტვია საქართველოსთან 1783 წელს დადგებული სამეგობრო ხელ-შეკრულება და საქართველო რუსეთის ორ გუბერნიად აქცია — ქართველი ხალხი ისხავს იარაღს და იწყებს ხანგრძლივას და სასტიკ ბრძოლას. ეროვნული თავისუფლების აღდგენის მიზნით მოწყობილი ამდღნიმე ათეული აჯანყება რუსეთმა ისტალში ჩახტაჩო. ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შეიღები, სა-ქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლნი უმოწყა-ლოდ დაულიტა და დიდი ნაწილი სამუდამოდ ციმბირში გა-დასახლა.

საქართველო თავისი ხანგრძლივი და გმირული ისტორიის შენილება არა ერთხელ დამარცხებულა ბრძოლაში; ჩვენს ქვეყნის ასოცია რომაელებისა და არაბების, სპარსეთისა, მონღოლებისა და თურქეთის ბატონობა, მაგრამ ისე სასტიკი და გამანადგურებელი ჩვენი ერისათვის არც ერთი ქვეყნის ბატონობა არა ყოფილა როგორც რუსეთისა. საქართველოში შემოქრილი უცხო ძალა, სპარსელები იყვნენ თე მონღოლები, უმთავრესად იყავებდნენ სტრატეგიულ და პოლიტიკურ ციტრებს და სხვა ადგილებში ხალხი ისევ თავის ცხოვრებით სცხოვრობდა — მათგან მოითხოვდნენ სარეფუტაციას. რუსეთი-კი ყველგან შეიჭრა, მან დაიკავა მარა მარტო მურა-ტეგიული და პოლიტიკური ცენტრები: ზამოდე, ყველა ცენტრული ცენტრი, ყველა ბილიკი, ყველა კუნძული, მოისმო ჯორული სკოლა და ქართული მართლმასაჯერება, შოთავანა და გა-ძარცვა ქართული ეკლესია, ქართულ ენას დამზღვეს „დაღლის ენა“ და ქართველი ხალხი დაუმორჩილეს დაუკრძალეს ფარე-ქრისტე რუსის მოხელეებს. ამრიგად მოყვა უფრო ტრი შემოპა-რულმა რუსეთმა მოელ მსოფლიოში ერთი უძველესი სახელ-

მწიფოთაგანი, საქართველო, ეკრაგულად მოჰკლა და სამარეში ჩაწეინა. ამ დროიდან ჩვენი ქვეყანა საერთაშორისო ასპარეზიდან გამჭრა და ქვეყნიერების რუქიდან ამოიშალა — ის გადაძება ვილური რუსეთის მიურუებულ პროცენტიად.

ამ გარემოებას არ შეუჩიგდა თვით ქართველი ხალხი. რუსეთის ეკრაგობის გამომულავნების პირველ დღიდანვე დაწყებულმა ბრძოლამ 116 წელიწადი გასტანა. ქვეყანა სისხლიდან იცლებოდა, მაგრამ ვერ გასტეხეს, იარაღი ვერ დააყრევინეს, და როცა რუსეთში 1917 წელს რევოლუცია მოხდა, საქართველომ ეს მოელენა თავისი ეროვნული თავისი უფლების აღსადგენად გამოიყენა. 1918 წ. 26 მაისს საქართველო თავის თავის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აცხადებს. ჩვენი მკეუნის ძალითაში უნდა დაწყებულიყო ახალი ერა. ქართველ ერს კვლავ ეძლეოდა საშვალება გაეშალა ეროვნული წემოქმედების უნარი და თავისი ეროვნული ცხოვრება მოეწყო როგორც სურდა, ე. ი. თითონვე ყოფილიყო თვისი ბატონი და ვატრონი. საქართველო კვლავ შევიდოდა კულტურულ ერების ოჯახში როგორც თანასწორი თავისუფალ ერთაშორის. მოწინავე ქვეყნებიც თანაგრძნობით შეხვდნენ საქართველოს მკედრეთით აღდგომას. ეცროპის ქვეყნებიდან გერმანიაში პირველმა იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. მას მიჰმა სხვებმაც: საფრანგეთმა, ინგლისმა, იტალიამ, იაპონიამ, ბელგიამ და სხვ. საქართველოს დამოუკიდებლობა იცნო და აღიარა საბჭოთა რუსეთმაც — 1920 წელს, 7 მაისს, მოსკოვში საქართველოსა და რუსეთს შორის დაიდო სამეცნიერო ხელშეკრულება. რომლის პირველი მუხლი აღიარებს საქართველოს დამოუკიდებელ და თავისუფალ სახელმწიფოდ, ხოლო მეოთხე მუხლში რუსეთი სამუდამოდ უარს ამბობს ყოველგვარ პრეტენზიებზე საქართველოს მიმართ. ამ ხელშეკრულებას ხელს აწერს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ჩიხერინი და სახელმისამართის თავმჯდომარე ლენინი. ამ ხელშეკრულების მიხედვით საქართველოს რუსეთიდან თავდასხმის საფრთხე აცილებულად უნდა ჩაეთვალა. ასე იქნებოდა ყველგან, მოელ დედამიწის ზურგზე. თუ თრი სახელ-

თუ სხვა რომელიმე წოდებისა. ყველა ქართველი იქნება თანაბარულებიანი მოქალაქე თავისი ქვეყნისა, სადაც გაუქმდება გლეხობის დამმონავებელი კოლხოზ-სოფხოზები და ოლდგრილ იქნება კერძო საკუთრების უფლება. გასაქანი მიეციმა კერძო ინიციატივას და ოლდგენილი იქნება დანგრეული ქართული ოჯახი. ეს არის ჩვენი მიზანი და ამას გვაძლევს გერმანიის გამარჯვება.

ომი გადამწყვეტ ფაზაში შედის — 1944 წ. გადამწყვეტი წლისა. როგორია მდგომარეობა ამჟამად? რუსული ჯარების წინ წამოსვლა ნიშნავს თუ არა გერმანიის დამარცხებას ან მის დასუსტებას? ომის დაწყებისთანავე გერმანიის ჯარებმა გაანადგრუს რუსული კადრის ჯარების უდიდესი ნაწილი და დაიკავეს თვალწიფლენელი სივრცე ლენინგრად-მოსკოვ-ოლგა-თერეგამდე. რუსეთმა დაპყარგა, ძუნწი გამოანგარიშებით, 20 მილიონამდე (ტყვე და მოკლული) ჯარისკაცი, ამაღენიმე ათასი თეოთმფრინავი და ტანკი, და უთვალავი რაოდენობა ზაჩბაზანი, ტყვიამფრქვევე და თოთისა. ჩქარი უკან დახვევით რუსეთმა მოახერხა თავისი ცოცხალი ძალის ერთი ნაწილი გადაერჩინა. მაგრამ თუ მიეიღებთ მხედველობაში დიდი ინდუსტრიული და ეკონომიკური ცენტრების დაყირგვით გამოწვეველ საშინელ სასურსათო კრიზისს, იარაღის მსახიობის ნაკლებობას და გულგატებილი ხალხის სულიერ განწყობილებას, ეს გადარჩენილი ცოცხალი ძალა სრულიადაც არ არის საქმარისი რომ დაიცეს რუსეთის ტერიტორია და მით უფრო იმისათვის, რომ აწარმოეოს შეტევები. რუსეთი განწირულია. მისი დამარცხება სადაც არ არის. ეს მხოლოდ დროის საქმეა. რუსეთის აგონია გაახანგრძლივა ინგლის-ამერიკამ. სტალინის დაეინებითი მოთხოვნა, რომ დაუყოვნებლივ გახსნილ იქნას ექიმპაში მეორე ფრთხოები, მისმა მოკავშირეებმა მოლოსდაბოლოს შეიწყნარეს და შეუდგნენ სამზადის. დანიშნულ იქმნა დესანტის ჯარების მთავარსარდალი და ინგლისის ტერიტორიაზე სწარმოებს სათანადო მოსამზადებელი მუშაობა. რასაკვირველია, ეს მმავი არ გამოეპარა გერმანიის სარდლობას, რომელიც მთავარ მოწინააღმდევედ

ინგლის-ამერიკასა სოველის და არა დასუსტებულ რუსეთს. ამიტომ გერმანიის სარდლობამ აღმოსავლეთის ფრონტზე მოხსნა დიდი ნაწილი თავისი ძალებისა და გადმოიყვანა და-სავლეთში დესანტის შემთხვევაში გადამშვერი და გამონა-გურებელი ბრძოლის მისაცემათ. აღმოსავლეთის ფრონტის ასეთი შესუსტებით, რასაკვირველია, ისაჩერებლა სტალინმა და უკანასკნელი ძალ-ომნით, უთვალავი მსხვერპლის გადა-ბით მოიწევს წინ. ბევრგან საგულისხმო შედეგებსაც მიაღწია. მაგრამ ეს არის დროებითი მიღწევები, რომელნიც ომის შე-დეგებს ვერ გამოსცვლიან. რუსეთის საბოლოო დამარცხება აშეარჩი გახდება ყველასათვის იმ წუთიდან, როცა გერმანია შესძლებს მოელი თავისი ძალით კვლავ აღმოსავლეთში და-არტყოს. ეს დარტყმა მოჰყვება ინგლის-ამერიკის დესანტის განადგურებას. ისიც უნდა მოვიგონოთ, რომ მტრების ბანაკ-ში ძალიან ბევრს ლაპარაკობენ გერმანიაში გამოვონილ საი-დუმლო იარაღზე, რომელსაც უნდა ექნეს ისტორიაში და-დე უხილავი გამანადგურებელი ძალი. ეს იარაღი. რა თქმა უნდა, მარტო ინგლის-ამერიკის წინააღმდეგ არ იქნება ნახშა-რი და მის ძალის ჩენე კნახავთ რუსეთის ვილებზედაც.


ამრიგად, წითელი ჯარის წინ წამოსვლა გერმანიის სი-სუსტის მაჩევენებელი კი არ არის. არამედ შედეგის გერმანუ-ლი სტრატეგიისა, რომლის მიზანია: ერთის მხრივ, შემოინა-ხოს ძალა მთავარი მოწინააღმდეგის დასამარცხებლად; ხო-ლო მეორეს მხრივ, მოუშვას რუსული ჯარი ისეთ ადგილე-ბადე, სადაც მისი დამარცხება უფრო ადვილი იქნება. ვიდრე ვოლგაზე და მოსკოვთან. ცხადია, რუსული ჯარის განადგუ-რება გერმანიისათვის უფრო ადვილია გერმანიის საზღვრებ-თან ახლოს, რადგან, გარდა შესანიშნავი გზებისა, რომელიც აადვილებს სამხედრო მანევრიებას. გერმანულ ჯარის ხელ-ძვეშ ექნება ყველაფერი. რაც რუსეთში შორიდან მიკერნდათ. თავის სასიცოცხლო ბაზებს მოწყვეტილი წითელი ჯარის გა-დადგურება მოხდება გერმანიის საზღვრებთან ახლოს, გერმა-ნიისათვის ხელსაყრელ პირობებში. ეს იცის სტალინმა. მან იცის, რომ რუსეთი უკვე დამარცხებულია და მისი ჯარი ვა-

ნადგურებას ვერ აიცდეს. სტალინი ჰეთავს რომ ჯარისა და  
 სახელრო მასალის მარაგი საკმარისი არა აქვს. რომ დანაკლი-  
 სი შეიცნოს, რომ ახალი ცოცხალი ძალა შეიმატოს, ის ტაქტი-  
 კურ მანევრს აკეთებს თავის ხალხის მიმართ და თითქოს ყო-  
 ვლგვარ დაომობებზე მიღის მოსახლეობის გულის მოსახვე-  
 ბად. ამით აიხსნება და არა სტალინის მსოფლმხედველობაში  
 მოხსელარი ცვლილებით მისი უკანასკნელი ლონისძიებანი:  
 ეკლესიისათვის თავისუფლების მიურმა, ჯარში მარშლობისა  
 და სხვა „ბურუუაზიული“ ხარისხების შემოლება, მარქსისტუ-  
 ლი პროპაგანდიდან პატრიოტულ პანგებზე გადასცლა, კომუ-  
 ნისტური პიმინ „ინტერნაციონალის“ ნაციონალური პიმინით  
 შეცვლა. კომინტერნის დაშლა, და უკანასკნელად საბჭოთა  
 კავშირში შემავალ ჩესტუბლიკების დამოუკიდებლად გამო-  
 ცხადებაც. ეს უკანასკნელი აქტი შესრულებულია არა მარტო  
 შინაური საჭიროებისათვის, არამედ უფრო საგარეო ეფექტის  
 შიშინით, ეკროპის ერების მოსატყუებლად და მათი წინააღ-  
 მდეგობის შესასუსტებლად. ამ აქტით მოსკოვს სურს ტინ-  
 დანდის, პოლონეთს, უნგრეთს, ბალტიის სახელმწიფოებს,  
 ჩუმინისა და სხვა ერებს შეურყიოს ბრძოლის საჭიროების  
 შეგნება, გაუადგილოს ადგილობრივ კომუნისტებს პროპა-  
 განდა და არა კომუნისტურ წრეებშიც შევჭმნას აზრი. რომ  
 მოსკოვის გამარჯვებას მოჰყვება არა ენკაუდეს ტერორი,  
 არამედ თავისუფლება ყველა ხალხებისა და ბელნიერება შავ-  
 რამ ეს მანევრიც წინააშარ განწირულია. ქვეყანაშ იცის რამ  
 ეს არის მორიგი თვალომაქცეული და თაღლითობა. ყველაზე  
 უკეთ ეს ეციოთ ჩვენ, ქართველებმა. საბჭოთა კავშირის  
 კონსტიტუციით საქართველო დღიმდევ „თავისუფლი“ და  
 კავშირში „ნებაყოფლობით“ შესული ჩესტუბლიკა იყო. კავ-  
 შირიდან გამოსელის უფლებაც ჰქონდა. ასე ეწერა საბჭოთა  
 კონსტიტუციიაში. მაგრამ როგორი იყო სინამდვილე? რამდე-  
 ნი აჯანყება მოწყონ ჩატარების წინააღმდეგ, რამდენი სისხლი  
 დაიღვარა, რამდენჯერ ჩახრჩო რუსეთმა ქართველი ერის  
 სურეილი დამოუკიდებელი ყოფილიყო? ეს ჩვენ კარგად ვი-  
 ცით, ჩვენს თავზე განვიყადეთ.

၇၃၂၂/၄၃၃

2023

၅၁



არა, სტალინის მანევრები ჩვენ შეცდომაში ვერ შეგვიყანს. საქართველო თავისუფალი და დამოუკიდებელი მხოლოდ მაშინ იქნება, როცა საბჭოთა კაციზირი დაიმსხვრევა და რუსი კაცებისიდან გაიდევნება. ეს დრო მთახლოებულია, ამ მიზნით დღეს იბრძვიან არა ერთეულები ან სერულები, არამედ ათასეულები. გერმანიის ჯარს გვერდით უდგას მრავალი ათასი ქართველი მებრძოლი, გერმანული სამხედრო წესით გაწვრთნილი ლეგიონერები, რომელთაც თავიანთ სამშობლოში მიაქვთ თავისუფლების ფართედ გაშლილი დროშა. ამ შეიარაღებულ, ქართული დროშის ქვეშ მებრძოლ ძალას მეთაურობს გერმანების მიერ უფლებამოსილი ქართველი ხელმძღვანელობა.

ასეთია მდგომარეობა საზღვარგარედ. საქართველოს განთავისუფლების საკითხი დღის წესრიგში სდგას. მომავალში ყველა იური დამოკიდებული იქნება ჩვენი შეგნებისაგან. ჩვენი უნარისაგან და ჩვენი მომზადებისაგან. შევძლებთ ორ არა გამოვიყენოთ საქართველოსათვის ეს უაღრესად ხელსაყრელი პირობები? ამას მომავალი გვაჩვენებს. ჩვენ ვიცით რომ ქართველი ხალხი საშინელ პირობებში სცხოვტობს, ვიცით აგრეთვე რომ იე აქტიური მოქმედება მოსკოვის წინააღმდეგ დიდ მსხვერპლს გამოიწვევს და ამიტომ შეუძლებელია. ნაგრამ საქართველომ უნდა გაამახვილოს ურარადლება, განიმტკიციოს ეროვნული ნებისყოფა და მშად იყოს საჭირო მოშენტერისათვის. ერთი საათით აჩქარება ქვეყანას დალუპავს. მაგრამ დავვიანებაც საფრთხეს გვიმზადებს. მოქმედების დასაწყებად საჭირო ნიშანს ჩვენგან ელოდეთ.

გაუმარჯოს თავისუფლებას, დიდება ქართველ ერს!

საქართველოს პოლიტიკური ციფრი.